

გთავაზობთ ინტერვიუს ლიტერატურის კრიტიკოს ლ. ბრეგამესთან ქართული ენის თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებით.

– ბოლო ათწლეულების განმავლობაში ენაც, ისევე, როგორც სამყარო ჩვენ გარშემო, გამალებით იცვლება, ვითარდება. ენის განვითარებაში რამე გარკვეულ ტენდენციას შეიძლება საუბარი?

– ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქართული სალიტერატურო და სასაუბრო ენა მწირი გახდა. ენა ადამიანის (არამარტო მწერლის) სამუშაო იარაღია, რომელსაც გამუდმებით თუ არ უვლი, დაგიჩლუნგდება. ადრე უფრო ბევრს ვკითხულობდით, ვიდრე ახლა, მულტიმედიურობამ ნაწერი ტექსტების როლი შეასუსტა, ლიტერატურულ ტექსტებს ნაკლებად ვეცნობით, მოსმენილი კი ალბათ ისეთ ზემოქმედებას ვერ ახდენს, როგორსაც წაკითხული... შეიძლება ამითაც არის გამოწვეული მეტყველების ასეთი სიმწირე...

– ბატონო ლევან, ბოლო დროს ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ ელექტრონული სოციალური ქსელებით, რაც ზეპირ საუბარს უფრო ჰგავს... ინტერნეტი უარყოფს ყოველგვარ ენობრივ ნორმებს... შესაძლოა, სოციალურმა ქსელებმა მავნე ზეგავლენა იქონიოს ენის განვითარებაზე?

– ცხადია, შესაძლოა. ელექტრონული სოციალური ქსელები ისე აადვილებს ურთიერთობას, ისე აჩქარებს ინფორმაციის გაცვლას-გამოცვლას, რომ გვგონია, თითქოს მთავარი ეს იყოს. სათქმელისთვის სათანადო სიტყვიერი ფორმის შერჩევას დაფიქრება სჭირდება, ფიქრისთვის კი სულ უფრო და უფრო ცოტა დრო გვრჩება (პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო სწრაფი ხდება კომუნიკაციები, მით უფრო ხშირად ვართ ცაიტნოტში. არადა, თითქოს პირიქით უნდა იყოს – კომუნიკაციები თუ ჩქარდება, ფიქრისთვის მეტი დრო არ უნდა გამოგვითავისუფლდეს?!). ზეპირი მეტყველება ყოველთვის დაუდევრობით გამოირჩეოდა, რასაც მეტნაკლებად ვეგუებოდით, რაკილა არ ფიქსირდებოდა. ახლა წერით მეტყველებასაც ასეთივე დაუდევრობა ეტყობა სოციალური ქსელების გამოისობით. რა თქმა უნდა, ეს არასასურველ ზეგავლენას იქონიებს ენაზე.

– ბუნებრივი და ჩვეული პროცესია, რომ ენა სხვა ენიდან სესხულობს, ითვისებს სიტყვებს... მაგრამ მოერევა ლექსიკური ინოვაციების, უცხოური სიტყვების ისეთი დიდი ნაკადის შემოჭრას, როგორიც ახლა გვაქვს? რა ზღვრამდე შეიძლება ვიყოთ ტოლერანტულები ამ პროცესის მიმართ? მით უფრო, როცა გვაქვს შემოსულ უცხო სიტყვათა ქართული ეკვივალენტები. მაგალითად, მკვიდრდება „ექსკლუზიური“ „განსაკუთრებულის“ ნაცვლად, „ექს“ – „ყოფილის“ ნაცვლად... რა საჭიროა „კონსენსუსი“, თუ გვაქვს „შეთანხმება“? რატომ გაჩნდა „პერმანენტულის“, „კრეატიულის“, „მოპინგის“, „პიარისა“ და მსგავსი სიტყვების შემოტანის აუცილებლობა?

– ნასესხები სიტყვა იშვიათად ნიშნავს ზუსტად იმავეს, რასაც მისი „ადგილობრივი“ ეკვივალენტი; ეს უწყობს ხელს მის დამკვიდრებას. მაგალითად, „კონსენსუსი“ ყოველგვარი შეთანხმება როდია. ეს არის სადავო საკითხებზე ზოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საერთაშორისო მოლაპარაკების, კონფერენციის მონაწილეებმა. თუ შემოსულმა სიტყვამ აქაურ შესატყვისთან შეჯიბრში თავი ვერაფრით გამოიჩინა, მისი არსებობა დღემოკლე იქნება. მე-19 საუკუნეში ქართულ სალიტერატურო ენაში იხმარებოდა „სტოლი“ და „სტაქანი“, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს „მაგიდისა“ და „ჭიქის“ კონკურენციას და ასპარეზი დატოვეს.

– იწვევს თუ არა ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობა განსაკუთრებულ შეშფოთებას?

– ენა ადამიანისა და ერის იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, შესაძლოა, სახელმწიფოებრიობაზე მნიშვნელოვანესი კი. ენის მდგომარეობის მჭიდრო კავშირს ეროვნულ იდენტობასთან, ინსტინქტურად მაინც, ყოველთვის გრძნობდნენ. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“ ენის მდგომარეობის გამო მღელვარება, წუხილი, შეშფოთება ამით აიხსნება და მაშინაც გამართლებულია, როცა შეშფოთებას რეალური საფუძველი არა აქვს (გრიგოლ ორბელიანი, მაგალითად, ენის წახდენას ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს უსაყვედურებდა!). იწვევს თუ არა ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობა განსაკუთრებულ შეშფოთებას, მეკითხებით. დიახ, იწვევს! ისევე, როგორც ეკონომიკის მდგომარეობა, განათლების სისტემის მდგომარეობა, სახელმწიფოებრიობის მდგომარეობა, ზნეობის მდგომარეობა...

– გამართული მეტყველების თვალსაზრისით ყველაზე მეტად ჟურნალისტები და პოლიტიკოსები სცოდავენ, თუმცა ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის დახვეწაზე თითოეული ჩვენგანი უნდა ზრუნავდეს. რა გზას უნდა მივმართოთ ამისათვის?

– ენობრივი შეცდომების გამო კრიტიკის ყველაზე დიდ ქარცეცხლში ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ხვდებიან, რაკილა ისინი ყურადღების ცენტრში არიან. მაღლობა ღმერთს, კარგად მეტყველი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები დღეს ჩვენში სანთლით სამებარნი სულაც არ არიან. საზოგადოდ კი, ჟურნალისტებსაც, პოლიტიკოსებსაც და სხვებსაც საგანგებო მუშაობა მართებთ გამართული მეტყველების დასაუფლებლად, ოღონდ ეს დამოუკიდებლად ძალიან ძნელია. ძველ სასწავლებლებში იყო ასეთი საგანი „რიტორიკა“ („მჭევრმეტყველება“), მისი მეშვეობით საჯარო მეტყველებას ასწავლიდნენ (უფრო მომავალ იურისტებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს). აღსადგენია ეს საგანი. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ვინც სწორად მეტყველებს, ის უფრო ხშირად აღწევს მიზანს. ასე რომ, სწორმეტყველება სასარგებლოა!